საკითხავი ბავშვებისთვის

ბავშვები სასამართლოში

მომზადებულია თამარ გაბოძის მიერ

დოკუმენტი მომზადდა **პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - PHR-ის** მიერ, **USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის** მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)** მხარდაჭერით.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია **პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - PHR-ი** და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

ზოგჯერ ბავშვებს (იმათ ვისაც არ შესრულებია 18 წელი) შეიძლება მოუწიოთ სასამართლოში მისვლა.

ეს დოკუმენტი დაგეხმარება იცოდე შენი უფლებები თუ სასამართლო პროცესში მონაწილეობა მოგიწევს.

დოკუმენტში წაიკითხავ:

- რას ნიშნავს სასამართლო;
- ვინ არის მოსამართლე;
- ვინ არიან სასამართლოში მხარეები;
- რატომ შეიძლება მიხვიდე სასამართლოში;
- ვინ იქნება სასამართლოში შენს გარდა;
- როგორია ის პროცესი სადაც ბავშვები მონაწილეობენ;
- რა უფლებები გაქვს სასამართლოში.

რას ნიშნავს სასამართლო

სასამართლო არის ადგილი, სადაც ადამიანები მიდიან თავისი უფლებების დასაცავად.

სასამართლოში ბევრი ადამიანი მუშაობს. მოსამართლე, სასამართლო სხდომის მდივანი, მოსამართლის თანაშემწე, მანდატურის თანამშრომელი, კანცელარიის თანამშრომელი.

სასამართლოს შენობა შეიძლება იყოს ასეთი.

სასამართლოს შენობაში არის სასამართლო დარბაზები, რომლებიც შეიძლება იყოს ასეთი.

საქართველოს აქვს სამი დონის (ინსტანციის) სასამართლო: საქალაქო, სააპელაციო და უზენაესი სასამართლო.

პირველად საქმეს განიხილავს საქალაქო სასამართლო.

თუ სასამართლო გადაწყვეტილებას ერთ-ერთი ან ორივე მხარე (ვინც მონაწილეობს სასამართლო პროცესში) არ ეთანხმება, მათ შეუძლიათ საქმე გააგზავნონ (გაასაჩივრონ) სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეცვალოს ან არ შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასაც არ დაეთანხმებიან მხარეები, შეუძლიათ გაასაჩივრონ უზენაეს სასამართლოში.

ვინ არის მოსამართლე

მოსამართლე არის ადამიანი ვინც უძღვება სასამართლო პროცესს. მან უნდა გადაწყვიტოს დავა მხარეებს შორის.

მოსამართლე მისთვის განკუთვნილ სპეციალურ ადგილას ზის.

მის გვერდით ზის სხდომის მდივანი და ეხმარება მოსამართლეს.

მოსამართლის მაგიდის წინ არის დაწერილი მისი სახელი და გვარი.

მოსამართლეს აცვია სპეციალური ფორმა, რომელსაც მანტია ჰქვია. როდესაც სასამართლოში ბავშვები არიან, შესაძლებელია მოსამართლეს არ ეცვას მანტია.

ვინ არიან სასამართლოში მხარეები

მხარეები არიან ის ადამიანები, ვინც მიმართა სასამართლოს და ითხოვენ მოსამართლისგან გადაწყვეტილების მიღებას, იმ საკითხზე რაზეც ვერ შეთანხმდნენ.

ასევე, მხარე არის ადვოკატი, ბრალდებული, მსჯავრდებული, პროკურორი, მოსარჩელე და მოპასუხე.



რატომ შეიძლება მიხვიდე სასამართლოში

ბავშვები შეიძლება მივიდნენ სასამართლოში თავისი უფლებების დასაცავად ან იმიტომ რომ სასამართლომ უნდა იმსჯელოს ისეთ საკითხზე რომელიც ბავშვს ეხება.

ასევე, სასამართლოში ბავშვი შეიძლება იყოს:

- მოწმე
- დაზარალებული
- ბრალდებული
- მსჯავრდებული
- გამართლებული
- მოსარჩელე

შენ შეგიძლია მიმართო სასამართლოს თუ თვლი, რომ შენი უფლებები დაირღვა. ესეთ დროს შენ იქნები მოსარჩელე.

თუ შენ ხარ რაიმე ამბის შემსწრე, ან იცი ისეთი რამ, რაც სასამართლოს დაეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, ასეთ შემთხვევაში, შენ სასამართლოში დაგიბარებენ როგორც მოწმეს.

თუ ვინმემ შენს მიმართ ჩაიდინა დანაშაული, შენ იქნები დაზარალებული.

თუ პროკურატურა თვლის, რომ ჩაიდინე დანაშაული, ესეთ შემთხვევაში შენ იქნები ბრალდებული.

თუ სასამართლომ შეისწავლა შენი საქმე და მიიჩნია, რომ დანაშაული ჩაიდინე, ასეთ დროს იქნები მსჯავრდებული.

თუ სასამართლომ განიხილა შენი საქმე და ჩათვალა რომ არ ჩაგიდენია დანაშაული, იქნები გამართლებული.

ვინ იქნება სასამართლოში შენს გარდა

სასამართლოში შენ მარტო არ იქნები. შენთან ერთად იქნება შენი მშობელი.

თუ მშობელთან ერთად სასამართლოში მისვლა არ იქნება შესაძლებელი, შენთან ერთად იქნება სოციალური მუშაკი. სასამართლოში სოციალური მუშაკი არის შენი მხარდამჭერი. მან კარგად უნდა იცოდეს შენი საჭიროებები. ამიტომ უთხარი სოციალურ მუშაკს ის, რაც გინდა რომ იცოდეს სასამართლოში შენს მხარდასაჭერად.

სასამართლოში შენს საუბარს შესაძლებელია დაესწროს ფსიქოლოგი, რათა დაგეხმაროს თუ ამის საჭიროება იქნება.

სასამართლოში შენს საუბარს შეიძლება დაესწრონ მხარეები.

შენ უფლება გაქვს მოითხოვო მოსამართლესთან საუბარი პროცესში მონაწილე მხარეების დასწრების გარეშე. ამ საუბარს დაესწრება ფსიქოლოგი და შენი ადვოკატი.

შენ უფლება გაქვს სთხოვო მოსამართლეს რომ არავის არ უთხრას შენი ნათქვამი. არც იმ ადამიანებს, ვინც სასამართლო პროცესში მონაწილეობენ. (მხარეები)

როგორია ის სასამართლო პროცესი, სადაც ბავშვები მონაწილეობენ

ისეთ საქმეებზე სადაც ბავშვები მონაწილეობენ, სასამართლო პროცესის ყველა მონაწილე არის სპეციალიზებული. ანუ მათ იციან ბავშვის უფლებები.

ის საქმეები სადაც ბავშვები მონაწილეობენ არის დახურული. რაც იმას ნიშნავს, რომ პროცესის მონაწილის გარდა სხვა ადამიანები ვერ იქნებიან სასამართლო დარბაზში.

სასამართლოში გვევალება დავიცვათ ის წესები, რასაც მოსამართლე აგვიხსნის სანამ პროცესი დაიწყება.

სასამართლო პროცესში მონაწილეობისას მოსამართლეს უნდა ვთხოვოთ ნებართვა:
თუ გვინდა რაიმეს თქმა, გვინდა გავიდეთ სასამართლო დარბაზიდან ან გვჭირდება შესვენება.

რა უფლებები გაქვს სასამართლოში

- თუ სასამართლო იხილავს იმ საკითხს რაც შენ გეხება, უფლება გაქვს მონაწილეობა მიიღო სასამართლო პროცესში ან სხვა ადამიანის დახმარებით დააფიქსირო შენი აზრი. ეს შეიძლება იყოს შენი მშობელი, სოციალური მუშაკი, ადვოკატი, ფსიქოლოგი. ნებისმიერი ადამიანი, ვისაც ენდობი. შენ შეგიძლია სულაც უარი თქვა სასამართლოში საუბარზე.

- თუ შენ ხარ დაბარებული როგორც მოწმე, შენ გაქვს უფლება იცოდე რატომ გიბარებენ სასამართლოში. თუ შენ უკვე 14 წლის ან მეტის ხარ მოსამართლე აგიხსნის, რომ უნდა თქვა სიმართლე.

- თუ შენ სასამართლოში იქნები როგორც დაზარალებული, სასამართლოში შენს საუბარს არ დაესწრება ბრალდებული (ის ადამიანი, რომელსაც ედავებიან რომ ჩაიდინა დანაშაული). ამ დროს ბრალდებულს გაიყვანენ სასამართლო დარბაზიდან და შენ მოგისმენს მისი ადვოკატი, რომელსაც აქვს უფლება დაგისვას შეკითხვები.

რა უფლებები გაქვს სასამართლოში

- ადვოკატი შეიძლება ჰყავდეს ყველას.
- თუ შენ სასამართლოში იქნები დაზარალებული გეყოლება ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. (შენ და შენს ოჯახს არ მოგიწევს ადვოკატის დახმარებისთვის თანხის გადახდა).
- თუ შენ ხარ მოწმე, მაგრამ თვლი რომ გჭირდება ადვოკატის დახმარება, შეგიძლია სასამართლოს სთხოვო დაგინიშნოს ადვოკატი.



რა უფლებები გაქვს სასამართლოში

- თუ სასამართლოში ვერ გაიგე მოსამართლის, პროკურორის ან ადვოკატის შეკითხვა, სთხოვე გაიმეორონ და აგიხსნან.
- თუ შენ სასამართლოში რაიმე შეკითხვაზე არ გაქვს პასუხი უბრალოდ თქვი რომ არ იცი.
- თუ რაიმე არ გახსოვს, თქვი რომ არ გახსოვს. ეს ჩვეულებრივი ამბავია.
- არ დაეთანხმო ისეთ ფაქტს რაც არ ყოფილა, იმიტომ რომ უფროსები გეკითხებიან.
- შენ გაქვს უფლება სასამართლოში თავისუფლად გამოთქვა შენი აზრი. შენი ნათქვამი სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია.
- თუ სასამართლო არ გაითვალისწინებს შენს აზრს, უნდა აგიხსნას რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება.

რა უფლებები გაქვს სასამართლოში

- სასამართლოს უფლება აქვს არ გაითვალისწინოს შენი აზრი ისეთ შემთხვევაში, თუ ეს არ იქნება შენი საუკეთესო ინტერესი.
- შენი საუკეთესო ინტერესია ის, რაც ყველაზე მეტად გჭირდება და გამოგადგება საქმის განხილვის დროს.
- თუ არ დაეთანხმები სასამართლოს გადაწყვეტილებას, შენ გაქვს უფლება გაასაჩივრო სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში.

გახსოვდეს:
შენ ძალიან მნიშვნელოვანი როლი გაქვს, როდესაც სასამართლოში მიდიხარ.



ახლა შენ უკვე იცი ცოტა რამ სასამართლოს შესახებ.

თუ გსურს გაიგო მეტი სასამართლოში შენი უფლებების შესახებ შეგიძლია იკითხო აქ:

იურიდიული დახმარების სამსახური - 292 00 55

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი 1481

ბავშვის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (995) 032 233 13 56